ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

განკარგულება:**g-37. 37230393**
თარიღი:**08/02/2023**

განკარგულება N2

08 თებერვალი 2023 წელი

ქ. ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს“ (კოდი 04 03 01) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარჩინებული სტუდენტებისთვის სტიპენდიის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 103-ე მუხლის, 106^1 მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად:

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს“ (კოდი 04 03 01) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარჩინებული სტუდენტებისთვის სტიპენდიის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

2. განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი